



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 15
15/01/2020

15-01-4-202001151720



სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მდინარე სკურდას ჭალა-კალაპოტში ჭარბი აკუმულაციური უბნების გაწმენდის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიგეგმა ჭარბი ინერტული მასალის ამოღების სამუშაოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „წილის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ მომზადებული პაკეტის საფუძველზე.

აღნიშნული სამუშაოების შერჩევის შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების 7⁴ მუხლის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს სამუშაოების შემსრულებელი პირის შერჩევა, რისი გათვალისწინებით მიზანშეწონილია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დაინტერესებული პირების შემოსული განაცხადების შესწავლის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მდინარე სკურდას ჭალა-კალაპოტში ჭარბი აკუმულაციური უბნების გაწმენდის მიზნით ინერტული მასალის ამოღების სამუშაოების შემსრულებელი პირის შერჩევის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) მირიან ქათამაძე _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი _ ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ბ) ლევან ზოიძე _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე _ ჯგუფის წევრი;
- გ) გივი ვერულიძე _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი _ ჯგუფის წევრი;
- დ) ზურაბ ამალლობელი _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალლობელი _ ჯგუფის წევრი;

ე) თეონა გეგიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი – ჯგუფის წევრი;

ვ) სულხან შავიშვილი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ქობულეთის ადმინისტრაციულ ერთეულში – ჯგუფის წევრი;

2. ჯგუფს დაევალოს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების 7⁴ მუხლის შესაბამისად, სამუშაოების შემსრულებელი პირის (ფიზიკური, იურიდიული) შერჩევის მიზნით შესაბამისი განცხადებების განხილვა;

3. განაცხადების მიღება დაიწყო 2020 წლის 22 იანვრიდან 29 იანვრის ჩათვლით, შერჩევა განხორციელდეს 2020 წლის 30 იანვარს.

4. დაევალოს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (გ. ვერულიძე) უზრუნველყოს ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მირიან ქათამაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა